პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 198 (19040) სამშაბათი, 28 აგვისტო, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

კომუნისტი კომკავშირში

[illegible]

კომკავშირში მომუშავე კომუნისტები მუდამ და ღრმად უნდა სწვდებოდნენ იმ საკითხებს, რომლებსაც განიხილავენ ახალგაზრდობის წრეში, სისტემატურად და გულმოდგინედ აანალიზებდნენ მათ, ეხმარებოდნენ კომკავშირულ ორგანიზაციებს მუშაობის ძირითად მიმართულებათა შერჩევაში.

ПРАВДА 27 აგვისტოს მოწინავე

[illegible]

ბულითადი მილოცვა

სკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს გუსტავ ჰუსაკს და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ლუბომირ შტროუგალს მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს სლოვაკიის ეროვნული აჯანყების 40 წლისთავთან დაკავშირებით.

მოწინავეთა მხარდამხარ

ნავსადგურის ზუსტი რიტმი

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ალმებით შედიან ფოთის ნავსადგურში სავაჭრო გემები.

სწრაფი ტემპით მუშაობენ ნავსადგურის მუშაკები. მარტო წლეულს მათ ანგარიშზეა ათობით რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა დანერგვამ შესამჩნევი ეკონომიკური ეფექტი მოგვცა. ...

მეწინავეთა შორის არის კომუნისტი დოკერ-მექანიზატორი გივი ნაჭყებია. ...

სურათზე: გემს ამუშავებენ ბორტ-ვაგონის პორდაპირი ვარიანტით; დოკერ-მექანიზატორი გ. ნაჭყებია.

ი. ბოსონელიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეხმარებიან ყამირელებს

ყაზახეთის ცელინოგრადის ოლქში ყანის მკას შეუდგნენ საქართველოს 17 რაიონის სოფლის კომბაინერები. ...

[illegible]



ნიჭი ერთგულებისა

უსაშველოდ გაგრძელდა ღამე, არადა, ძილიც არ გაეკარა, უამრავი ფიქრი აწუხებდა გონებაში. ...

ბედნიერი დამთხვევაა, 1977 წლის მარტში ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში ძრავის დიზელიზაციის სამუშაოები დაიწყო, ხოლო 1978 წლის თებერვალში ქართველ ავტომშენებლებს დაევალათ დაემზადებინათ სახალხო-სამეურნეო დანიშნულების ავტოთვითმცლელი „ქაზ-4540“. ...

[illegible]

ალბათ არც ისე ხშირია ადამიანის ცხოვრებაში ასეთი განცდა, ამიტომაც არის იგი ყველაზე სამახსოვრო. ...

— ცხინვალიდან, ბაქრაძე...

გ. შარაბიძე. დ. ბედენიძე. „კომუნისტის“ კორ.

მ. კუხაშვილის ნახატი.

სკოლა აღორძინებულ სოფელში

ადიგენი, 27 აგვისტო. (საქინფორმის კორ. რ. ცუცქირიძე). ადიგენის რაიონის მთის სოფელ უტყისუბანში პირველი სკოლის საექსპლოატაციოდ გადაცემა სახალხო დღესასწაულად გადაიქცა. ღირსშესანიშნავი მოვლენა გახდა არა მარტო ამ აღორძინებული სოფლის, არამედ მეზობელი სოფლების — ამხერის, საირმის, ზაზალოს, მთელი მესხეთის მცხოვრებლებისთვისაც.

უტყისუბანში დაწყებითი სკოლის საზეიმო გახსნის გამო შეიკრიბნენ ადიგენისა და მეზობელი რაიონების შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები, პარტიისა და შრომის, დიდი სამამულო ომის ვეტერანები, სოფლის მეურნეობის მოწინავენი.

სოფელ უტყისუბნის მშრომელები, რომელთა შვილებიც ახალ სკოლაში წავლენ, 1 სექტემბერს მთელ ქვეყანასთან ერთად იზეიმებენ საკავშირო „ცოდნის დღეს“.

სახალხო დღესასწაული გახსნა პარტიის ადიგენის რაიკომის პირველმა მდივანმა ჯ. ნაკაშიძემ, რომელმაც თქვა, რომ გაისად აღორძინებული სოფლების ამხერის, საირმის, ზაზალოს მცხოვრებლებიც მიიწვევენ სტუმრებს ახალ სკოლებში. ...

წყვებენ ამ მზიან საზეიმო დღეს.

უტყისუბანში პირველი სკოლის დაბადების მაუწყებელ ზართან ერთად ეთერში გაისმა ბედნიერ ბავშვთა სიმღერა.

აღორძინებულ სოფელში პირველი სკოლის გახსნის ზეიმს დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე და პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ...

სექტემბრის ზარის წინ

მილიონი უფასო სახელმძღვანელო

სულ რამდენიმე დღე დარჩა ახალი სასწავლო წლის — ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა განხორციელების პირველი წლის დაწყებამდე. ...

[illegible]

— დიდძალ სახელმძღვანელოთა შორის 98 დასახელების სახელმძღვანელოები ახალი სასწავლო წლისათვის გამოუშვა გამომცემლობა „განათლებამ“, 15 — ორიგინალურია, რომლებიც შექმნეს ქართველმა ავტორებმა, ზოგიერთი კი გადამუშავებული და გაფართოებულია. ...

[illegible]

ვიზიტი დამთავრდა

დამთავრდა საბჭოთა კავშირში ინდოელი კოსმონავტების რ. შარმას და რ. მალჰოტრას ვიზიტი.

ისინი იყვნენ მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ალმა-ათაში, ეწვივნენ ფრენის მართვის ცენტრს და ლ. ი. ბრეჟნევის სახელობის ვარსკვლავეთა ქალაქს.

წიგნი ვ. ი. ლენინის შესახებ

მოსკოვში გამოვიდა მეორე ტომი მესამე ხუთტომიანი გამოცემისა „მოგონებები ვლადიმერ ილიას ძე ლენინის შესახებ“, რომელსაც უშვებს პოლიტგამომცემლობა მკითხველთა თხოვნით.

წიგნი ასახავს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ბიოგრაფიის რევოლუციამდელ პერიოდს — 1891 წლიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე. მასში შეტანილია ბოლშევიკური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეთა და რუსეთში მუშათა მოძრაობის აქტიურ მონაწილეთა მოგონებები.

მემუარები იმუქებენ ბელადის ცხოვრების სხვადასხვა პერიოდს და მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის სრულიად სხვადასხვა მხარეს. (საქდესი).

- ზრუნვა ბუნებისათვის. (მე-2 გვ.).
- პარტიული ცხოვრება: ვინ დაავაკელით ხელი? (მე-2 გვ.).
- საზოგადოებრივ წესრიგს — კომკავშირელთა ყურადღება. (მე-2 გვ.).
- თეორიის საკითხები: საბჭოთა პატრიოტიზმი და საერთო-ეროვნული სიამაყე. (მე-2 და მე-3 გვ.).
- უნივერსალური ტელეფონები სოფლებშიც იქნება. (მე-3 გვ.).
- საერთაშორისო ცხოვრების ამბები. (მე-3 გვ.).
- დიდი სამამულოს ქრონიკები. (მე-4 გვ.).
- ბზადგზა, ერთი თვალის გადავლებით. (მე-4 გვ.).

ხომალდები განპირაპირდა

ფრენის მართვის ცენტრი, 26 აგვისტო. (საკდესი). დღეს 20 საათსა და 13 წუთზე მოსკოვის დროით ერთობლივი ფრენის პროგრამის დამთავრების შემდეგ ავტომატური სატვირთო ხომალდი „პროგრესი-23“ მოსცილდა „სალუტ-7“-„სოიუზ ტ-11“ პილოტირებულ კომპლექსს. ხომალდის განპირაპირებასა და მოცილებას კონტროლს უწევდნენ ფრენის მართვის ცენტრი და ეკიპაჟი.

ერთობლივი ფრენის მანძილზე ყველა დასახული ოპერაცია — გადატვირთვა სადგურის ძრავის გაერთიანებული დანადგარის ქმაგაწყობა, სასმელი წყლის გადატუმბვა მთლიანად არის შესრულებული. სატრანსპორტო ხომალდის ძრავის დახმარებით მოეწყო ორბიტული კომპლექსის მოძრაობის ტრაექტორიის ორი კორექცია.

ლეონიდ კიზიმი, ვლადიმერ სოლოვიოვი და ოლეგ ატკოვი დაუღალავად მუშაობენ „სალუტ-7“ სადგურზე მუშაობის მე-200 დღე.

დღის პროგრამის თანახმად მეორედ სამედიცინო კვლევა და გეოფიზიკური ექსპერიმენტები.

[illegible]

ზრუნვა ბუნებისათვის

28 აგვისტოს გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომისიის მორიგი სხდომა.

კომისიამ განიხილა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1985 წლის სახელმწიფო გეგმისა და 1986-1990 წლების და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტები „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების" ნაწილში.

სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ დამატებით განიხილონ ბუნების დაცვის 1985 წლის გეგმის პროექტი, ამასთან გაითვალისწინონ მისი ცალკეული მაჩვენებლების გაუმჯობესება.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტით „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების" ნაწილში გათვალისწინებულია უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარე ხუთწლედთან შედარებით საბრუნი წყალმომარაგებისა და ნორმატიულად გაწმენდილი წყლის მოცულობის გადიდების, ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების სტაციონარული წყაროების დაჭერილ და უვნებელყოფილ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის, ტყეების დაცვის, ეროზიის საწინააღმდეგო ნაგებობათა მშენებლობის, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დროს მისი მიღების და ზოგიერთი სხვა მაჩვენებლის მიხედვით.

განიხილეს უკრაინის სსრ ქალაქების ლისიჩანსკის, სევეროდონეცკის, რუბეჟნოესა და სლავიანსკის რაიონში მიწისქვეშა წყლების გაჭუჭყიანების წყაროების ლიკვიდაციის, წყალსადენი ნაგებობების დაცვისა და ბუნების დაცვის სხვა ღონისძიებათა განხორციელების დაჩქარების საკითხი.

კომისიამ აღნიშნა, რომ ქიმიური მრეწველობის სამინისტროს, რომლის საქვეუწყებო საწარმოები აღნიშნულ რაიონში გარემოს გაჭუჭყიანების წყაროა, ქეროვანი ზომები არ მიუღია იმისათვის, რომ შეესრულებინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 1 აპრილის დადგენილება მიწისქვეშა წყლებისა და მდინარე სევერსკი დონეცის აუზის გაჭუჭყიანების თავიდან აცილების ძირითად ღონისძიებათა განხორციელების ნაწილში. სსრ კავშირის მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრო უკიდურესად ნელა ახორციელებს ამ რაიონში საჭირო ბუნების დამცავი ობიექტების მშენებლობას.

ამ საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებებში დასახულია რუბეჟნოე-ლისიჩანსკის სამრეწველო კვანძის რაიონში მიწისქვეშა წყლებისა და მდინარე სევერსკი დონეცის აუზის გაჭუჭყიანების თავიდან აცილების კონკრეტული ღონისძიებანი.

კომისიამ განიხილა აგრეთვე ლადოგის ტბის აუზის ბუნებრივი რესურსების დაცვის უზრუნველყოფისა და რაციონალური გამოყენების, აგრეთვე იმანდრის ტბის აუზში წყალსატევების გაჭუჭყიანების თავიდან აცილების ღონისძიებათა საკითხები.

(საქტასი).

საზოგადოებრივ წესრიგს — კომკავშირელთა ყურადღება

1 სექტემბერს იწყება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების XV რესპუბლიკური კომკავშირული ორთვიური

ამ მნიშვნელოვანი კამპანიის მომზადებისა და მოწყობას მიეძღვნა კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნების, ადმინისტრაციული ორგანოებისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების ხელმძღვანელების რესპუბლიკური თათბირი, რომელიც ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის კლუბში გაიმართა.

მოხსენებები გააკეთეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ჟ. მარგველიძემ და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ გ. კვანტალიანმა.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მიმდინარე წლის განვლილი თვეების განმავლობაში რესპუბლიკის ოპერატიულ ვითარებაში დადებითი ტენდენციები დაისახა. ამასთან ერთად რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებსა და ქალაქებში გაიზარდა დანაშაულობათა რიცხვი, მათ შორის განსაკუთრებით საშიში და თავხედური დანაშაულისა. სამართალდამრღვევთა შორის ბევრია ახალგაზრდა და კომკავშირელია.

ეს მოწმობს, რომ სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისათვის კომკავშირული და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების მუშაობაში ხშირად შეიმჩნევა სტიქიურობა. ორთვიურის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მექთამხორობასთან, ლოთობასთან, ნარკომანიასთან ბრძოლას, არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პროფილაქტიკასა და სხვ.

დასახული აქციები განხორციელდება საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა, იუსტიციის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების და განათლების სამინისტროების, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტთან ერთად.

დამტკიცდა „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების ორთვიურის" მოწყობის შტაბის შემადგენლობა და ღონისძიებათა კომპლექსი.

(საქინფორმი).

პარტიული ცხოვრება

ვინ დავაკელით ხელი?

ვინ დავაკელით ხელი საავტომობილო გზებზე სანიმუშო წესრიგის დამყარების ერთობ მნიშვნელოვან საქმეს, ვისი მიზეზით ხდება ამდენი ავტოკატასტროფა, რომელთა გამოც ყოველწლიურად ათასობით ადამიანი აკლდება საზოგადოებას, თანაც მშვიდობიანობის დროს და ასე უმიზნოდ? პოეტისა არ იყოს, ვინ მისცა საქართველოს შვილი დასაკარგავი? ნუთუ მხოლოდ თავგასული ან ლოთი მძღოლის ბრალია ყველაფერი და ჩვენ კი, მთელი საზოგადოება, არაფერ შუაში ვართ?

განიხილავენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილს გზებზე სახელმწიფო წესრიგის დამყარების შესახებ

თამამად შეიძლება ითქვას, რომ აი, ეს მტკივნეული კითხვა და მდგომარეობის აუცილებელი გამოსწორებისათვის ერთსულოვანი მზადყოფნა გასდევს წითელ ზოლად ჩოხატაურის რაიონის შრომითი კოლექტივებში, საწარმო-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში გამართული ღია პარტიული კრებების მუშაობას. მათი მონაწილენი ერთხმად იწონებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილს და აღნიშნავენ, რომ ასეთი კატასტროფული მდგომარეობა საზოგადოების თითოეული წევრის არასათანადო აქტიურობის, ზოგჯერ მათი სუსტი მოქალაქეობრივი პოზიციის ბრალიც არის, თორემ ლოთი მძღოლი ასე თავისუფლად ვერ იგრძნობდა საჭესთან თავს, არც ზოგიერთი ავტოინსპექტორის აშკარებაიანი ლიბერალიზმის შემთხვევები იქნებოდა.

სწორედ ეს არის, თქვეს რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების ღია პარტიული კრების მონაწილეებმა, ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში ასეთი ცუდი მდგომარეობის გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. მათ გულისტკივილით ილაპარაკეს სოფელ ბურნათის ცენტრალურ გზაზე მომხდარ ავტოკატასტროფაზე, რომელიც აგროსამრეწველო გაერთიანების ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლის გ. ჩხიკვაძის მიერ მოძრაობის უსაფრთხოების წესების უხეშ დარღვევას მოჰყვა და ორი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა.

გაერთიანების ავტოპარკის მთავარმა ინჟინერმა ფ. დოლიძემ თქვა, რომ რაიონის სოფლის მეურნეობის მომსახურე ავტომანქანების 30 პროცენტი ამორტიზებულია და კაპიტალურ რემონტს საჭიროებს, რაიონს კი არა აქვს ტექმომსახურების საღგური, ძალზე ცუდია სათადარიგო ნაწილებით მომარაგება. ამის გამო ზოგჯერ ტექნიკურად გაუმართავი მანქანები გადის სამუშაოდ.

ეს, რა თქმა უნდა, ერთობ ხელშემწყობი მიზეზია, მხარი დაუჭირა მას სხას და შეზარხოშებულს საჭესთან დაჯდომას? ამით ხომ პრაქტიკულად ხელს ვუწყობთ ავტოკატასტროფას? ამიტომაც საჭიროა, უწინარესად, გამკაცრდეს კანონი ლოთი მძღოლების წინააღმდეგ და საზოგადოებამაც შექმნას შეურიგებლობის პოზიცია მათ მიმართ. მაშინ მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იქნება.

პირა მას გაერთიანების მექანიზაციის განყოფილების გამგემ ნ. უჯმაჯურიძემ და უცილობლად უნდა გამოსწორდეს. მაგრამ არანაკლებ აუცილებელია დისციპლინისა და მომთხოვნელობის გაძლიერება. აი, თუნდაც, ჩვენთან, თქვა მან, შექმნილია მოძრაობის უსაფრთხოების კომისია, რომელიც გარკვეულ მუშაობას კი ეწევა, მაგრამ ნაკლოვანებები მაინც საკმაოდ არის. გარდა ამისა, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტსაც, რომ მძღოლები ხშირად გარაჟის ნაცვლად საკუთარ ეზოებში აყენებენ სახელმწიფო ავტომანქანებს.

მაგრამ ყველაზე მტკივნეული საკითხი, თქვეს კრების მონაწილეებმა — უფროსმა აგრონომმა ა. დევიძემ, საკვებმოპოვების სამეურნეობათაშორისო გაერთიანების დირექტორმა შ. კალანდაძემ, მძღოლმა რ. ოსეფაშვილმა, აგრონომ-ინსტრუქტორმა ლ. ლომთათიძემ და სხვებმა — საჭესთან მჯდომი ლოთი მძღოლი — პოტენციური მკვლელის პრობლემაა. და ესეც ჩვენი ბრალია. განა იშვიათია შემთხვევა, როდესაც „სტუმართმოყვარე" მასპინძელი ღვინოს აძალებს მძღოლს, ან, უკეთეს შემთხვევაში, არ უშლის მას სმას და შეზარხოშებულს საჭესთან დაჯდომას? ამით ხომ პრაქტიკულად ხელს ვუწყობთ ავტოკატასტროფას? ამიტომაც საჭიროა, უწინარესად, გამკაცრდეს კანონი ლოთი მძღოლების წინააღმდეგ და საზოგადოებამაც შექმნას შეურიგებლობის პოზიცია მათ მიმართ. მაშინ მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იქნება.

კრების მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, საჭიროა ბავშვებს პატარაობიდანვე ვასწავლოთ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესები და ჩავუნერგოთ, რომ მათი დაცვა აუცილებელია. ეს მომავალში მაინც გამორიცხავს მავნე ჩვევებს, როცა ქვეითნი როგორც მოეპრიანებათ, ისე გადადიან საავტომობილო გზებზე, რაც კატასტროფის საშიშროებასაც ქმნის და ზოგიერთის ელემენტარულ უკულტურობასაც თვალნათლივ აჩენს...

კიდევ ბევრ საკითხზე ილაპარაკეს კრების მონაწილეებმა, რომლებმაც ერთსულოვნად მოიწონეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილის მოთხოვნები და მდგომარეობის გამოსწორების მიზნით წამოაყენეს საკუთარი შეხედულებები, საქმიანი წინადადებები, რომლებიც აისახა მიღებულ დადგენილებაში.

გ. სიხარულიძე,
ჩოხატაურის რაიონული გაზეთის „კომუნიზმის განთიადის" რედაქტორი.

თბილისის კონვოლ-მაუდის კომბინატის ოსტატის თანაშემწემ, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ვერა ქეხაშვილმა საწარმოში 35 წლის მუშაობის მანძილზე 100 მრთველი აღზარდა. 25 კაციან ბრიგადაში, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, ყველა მუშაკი მისი ყოფილი მოწაფეა.

სურათზე: მარცხნიდან მესამე — ვერა ქეხაშვილი, მარცხნიდან ბრიგადის წევრები ფატი გაჩეჩილაძე, ლალი ბანცაძე, რუსუდან გულაშვილი.

ა. სააკოვის ფოტო.

მიმდინარე წლის შვიდი თვის მუშაობის შედეგებმა ცხადყო, რომ წარმატებით სრულდება ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების საგეგმო დავალებანი, დროის ამ მანძილზე შენარჩუნებულია სამრეწველო წარმოების მატების სწრაფი ტემპი. შვიდ თვეში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მისმა ზრდამ 106 პროცენტი შეადგინა, რაც ბევრად აღემატება გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებელს. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 167 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. შრომის ნაყოფიერება 1983 წლის იანვარ-ივლისთან შედარებით, 4,8 პროცენტით გაიზარდა და ამის შედეგად მიღებულია სამრეწველო წარმოების მატების ოთხ მეხუთედზე მეტი.

რეალიზებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის, სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვის საგეგმო დავალებები. სახალხო მეურნეობისათვის უმნიშვნელოვანეს ბევრ სამშენებლო ობიექტზე წარმატებით ხორციელდება გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა ათვისება.

წარმატებები სახალხო მეურნეობის კომპლექსის განვითარებაში, მისი ეფექტიანობის ამაღლებაში იმითაც არის განპირობებული, რომ უფრო ქმედითი გახდა საწარმოო პროცესების შეუფერხებელი მუშაობისათვის განხორციელებული ღონისძიებები.

წარმოებაში გადასაწყვეტ მრავალ პრობლემათა შორის ერთი მთავარეგანი შრომის დისციპლინის საკითხია. მინდობილი საქმისადმი შეგნებული დამოკიდებულება, სინდისიერი შრომისა და სრული უკუგებისადმი ლტოლვა განსაზღვრავს წარმატებებს საერთოდ, რამეთუ, ჯაჭვის ერთი რგოლის გამოვარდნაც კი დიდ ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობას.

თანამიმდევრულად ხორციელდება ღონისძიებანი სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. შრომითი კოლექტივებს დიდი უფლებები აქვთ მინიჭებული თითოეულ მშრომელზე აქტიური ზემოქმედებისათვის, მოწინავეთა წახალისებისათვის, წარმოებაში წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის. შრომითი დისციპლინის განმტკიცებისათვის მუშაობის ფორმები და მეთოდები მუდმივად იხვეწება. დისციპლინის დამრღვევთა მიმართ მარტო იძულებითი ზომები არ გამოიყენება, ძირითადი მაინც შრომითი ვალდებულებისადმი შეგნებული დამოკიდებულებაა.

თუ გავაანალიზებთ მატერიალური წარმოების ცალკეულ დარგებში სახელმწიფო და შრომის დისციპლინის დამახასიათებელ მიმდინარე წლის პირველი ნახევრის სტატისტიკურ მასალებს, ბევრი რამ გახდება ნათელი.

რესპუბლიკის მრეწველობაში მთლიანად სამუშაო დროის დანაკარგები დღიური და ცვლის შიდა მოცდენების, გაცდენებისა და მომუშავეთა მიერ ადმინისტრაციის ნებართვით სამუშაოზე გამოუცხადებლობის გამო, წლეულს, 1983 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აბსოლუტური გამოხატულებით, შემცირდა. საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცების თვალსაჩინო ძვრები შეინიშნება რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებში. შედარებით მდორედ, ვიდრე მრეწველობასა და მშენებლობაზე, მაგრამ მაინც უმჯობესდება შრომის დისციპლინა ავტოტრანსპორტზე.

სტატისტიკური მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ საშენ მასალათა მრეწველობის, კვების, მსუბუქი, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროების, რესპუბლიკის ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის და სხვა დარგების სამრეწველო საწარმოებში სისტემატური, მიზანსწრაფული მუშაობა მიმდინარეობს შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებისათვის, რის შედეგადაც ამ სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტის სისტემებში მიღწეულია სამუშაო დროის გაცდენის შემცირება. ასევე შეიძლება ითქვას საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის", „მთავარსაქწყალმშენის" მთავარი სამმართველოს, „საქჰიდროენერგომშენის" ტრესტის სამშენებლო ორგანიზაციების, აგრეთვე საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოების მისამართითაც.

ამასთან, რესპუბლიკის ცალკეული სამინისტროების, აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ არ მიმდინარეობს სტაბილურად, რის შედეგად სამუშაო დროის შესადარი მაჩვენებლები, კერძოდ, დანაკარგები ერთ მუშაზე გაანგარიშებით იქ ჯერ კიდევ მაღალია საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებლებთან შედარებით. უფრო მეტიც, ზოგიერთ მათგანში შრომის დისციპლინა 1983 წლის პირველ ნახევართან შედარებით გაუარესდა და, როგორც შედეგი გაიზარდა სამუშაო დროის დანაკარგები. ასე, მაგალითად, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოს ერთ მუშაზე წლის პირველ ნახევარში დანაკარგები 0,52 დღით მეტია, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში, ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროში ანალოგიური მაჩვენებელი საშუალო რესპუბლიკურთან შედარებით მეტია 0,61 დღით, გამომცემლობათა, პოლიგრაფიის და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში — 1,02 დღით, უსინათლოთა საზოგადოებაში — 1,33 დღით, ყრუთა საზოგადოებაში — 2,86 დღით, ი. ბ. სტალინის სახელობის ვაგონშემკეთებელ ქარხანაში — 0,69 დღით, ფოთის გემთშემკეთებელ-გემთსაშენ ქარხანაში — 1,49 დღით, ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში — 0,97 დღით. ასეთი მაგალითები ბევრია.

მნიშვნელოვნად გაიზარდა სამუშაო დროის დანაკარგები ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის საწარმოებში, „თბილისპურის" საწარმოო გაერთიანებაში, ცხაკაიას ხალიჩების კომბინატში, ახმეტისა და ლაგოდეხის საკონსერვო ქარხნებში, თბილისის წიგნის ფაბრიკაში და სხვა.

სამუშაო დროის დანაკარგების სტრუქტურაში დიდი წილი მოდის გაცდენებზე, რომლებიც უშუალოდ ახასიათებს შრომის დისციპლინის მდგომარეობას. სამწუხაროდ, იძულებული ვართ აღვნიშნოთ, რომ წლის პირველ ნახევარში, მიუხედავად გაცდენების რაოდენობის აბსოლუტური შემცირებისა, აღნიშნული მიზეზით სამუშაო დროის დანაკარგების ხვედრითი წილი მთლიან დანაკარგებში მრეწველობაში გაიზარდა.

სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებში შემოსული პერიოდული ანგარიშგება და დამატებითი სტატისტიკური ინფორმაცია საფუძველს გვაძლევს მივაჩნიოთ, რომ ბევრი საწარმოსა და ორგანიზაციის ხელმძღვანელები დისციპლინის დამრღვევთა მიმართ არადამაკმაყოფილებლად იყენებენ შრომის დისციპლინის განმტკიცების თაობაზე დამატებითი ღონისძიებების შესახებ დირექტიული ორგანოების დადგენილებით გათვალისწინებულ ზომებს. უფრო მეტიც, ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერების ნაცვლად, დისციპლინის გაუმჯობესების მოჩვენებითობის მიზნით, ამჯობინებენ სახელმწიფო ანგარიშგების მონაცემთა შელამაზებას.

გაცდენებთან ბრძოლის ისეთი ქმედითი ფორმა, როგორიც შვებულების ხანგრძლივობის გარკვეული დღეებით შემცირებაა, ბევრ საწარმოში პრაქტიკულად არ გამოიყენება. წლის პირველ ნახევარში რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში 249 მუშამ გააცდინა სამუშაო, თბილისის „ჩარხმშენებლისა" და „ელექტროაპარატის" საწარმოო გაერთიანებებში შესაბამისად — 217 და 151 მუშამ, „პიათურმანგანუმის" საწარმოო გაერთიანებაში 194-მა, თბილისის პატონის სახელობის ელექტრომემდუღებელი მოწყობილობის ქარხანაში — 131 მუშამ, მიუხედავად ამისა, ამ ორგანიზაციებში არც ერთ გამცდენ მუშას შვებულების დღეები არ შეუმცირეს. ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში 565 გამცდენი მუშიდან შვებულების დღეები მხოლოდ 5 კაცს შეუმცირდა.

შრომის დისციპლინის სტატისტიკა

სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების მიერ სპეციალურად განხორციელებული დაკვირვებები მოწმობს, რომ ბევრ საწარმოსა და ორგანიზაციაში დაბალ დონეზეა არა მარტო შრომის, არამედ საწარმოო და ტექნოლოგიური დისციპლინაც. ხშირად სამუშაო დროის დანაკარგები გამოწვეულია იმით, რომ საწარმოო პროცესები უზრუნველყოფილი არ არის ნედლეულით, მასალებით, ცალკეული დეტალებით, ნამზადებით, კვანძებით, ინსტრუმენტებით და სამარჯვებით, ტექნიკური დოკუმენტაციით, ელექტრო და თბოენერგიით, ორთქლით, შეკუმშული ჰაერით, ამწე-სატრაქტორო საშუალებებით.

მხოლოდ ერთი დღე-ღამის განმავლობაში, მიმდინარე წლის 16 მაისს, აღნიშნული მიზეზებისა და აგრეთვე იმის გამო, რომ ზოგი მუშა სამუშაოზე არ იმყოფებოდა ადმინისტრაციის ნებართვით ან თვითნებურად დაარღვია შრომის დისციპლინა, ბათუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანებაში (გენერალური დირექტორი მერი ხალვაში) სამუშაო დროის დანაკარგებმა 207 კაცსაათი შეადგინა, ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში (გენერალური დირექტორი გენადი გოგლიჩიძე) — 93, თელავის სამკერვალო ფაბრიკაში (დირექტორი მალვა გრიშიკაშვილი) — 92, დარკვეთის საშენ მასალათა საწარმოო გაერთიანებაში (გენერალური დირექტორი ოთარ კეპატაძე) — 90, პრონის არამადნეული სამშენებლო მასალების ქარხანაში (დირექტორი გივი კალანდარიშვილი) — 80 კაცსაათი. მიუხედავად ამისა, თუ ამ საწარმოების სტატისტიკური ანგარიშებით ვიმსჯელებთ, წლის პირველ ნახევარში მათთან თურმე არც ერთი კაცსაათი ცვლის შიგა მოცდენა არ ყოფილა. ნათელია, რომ აღნიშნულ საწარმოთა ხელმძღვანელებმა ჩაიდინეს აშკარა სიყალბე.

ძნელია დავუჯეროთ „საქსოფლმანქანის", „ანალიზხელსაწყოს", „ელვას", „საქელექტრომანქანის", „კავკასტრანსფორმატორის" საწარმოო გაერთიანებების, თბილისის „აგრეგატის" და საინსტრუმენტო, ბათუმის ელექტრომექანიკური, ფოთის ჰიდრომექანიზმების და „სოხუმხელსაწყოს" ქარხნების ხელმძღვანელებს, რომელთა ანგარიშებშიც არ ასახულა ცვლის შიგა მოცდენები. და ეს მაშინ, როცა ამ საწარმოებში მარტო მიმდინარე წლის 17 მაისს დიდი იყო საწარმოო მოწყობილობის ცვლის შიგა მოცდენები.

რუსთავის „აზოტის" საწარმოო გაერთიანებაში დაბალია საწარმოო, ტექნოლოგიური, სამეურნეოებლო და შრომის დისციპლინის გამო ხშირად მისი ზოგიერთი საამქრო და წარმოება შეფერხებით მუშაობს. ამიტომ ნაკლებად სარწმუნოა, რომ წლის პირველ ნახევარში იქ საერთოდ არ გაცდენია არც ერთი საათი.

ასევე ეჭვს იწვევს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის (მმართველი კოლია გაჩეჩილაძე?), № 3 ტრესტის (მმართველი მალხაზ ანანიაშვილი), № 13 ტრესტის (მმართველი კონსტანტინე მხეიძე), საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის (მმართველი ირდალიონ დახუნდარიძე), № 3 ტრესტის (მმართველი გუგული ჩიქვინიძე), № 5 ტრესტის (მმართველი თამაზ ცაგურია), № 11 ტრესტის (მმართველი ჯუმბერ პეტიაშვილი)... სამშენებლო ორგანიზაციები, რომელთა ანგარიშებშიც საერთოდ არ არის ასახული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე და დამხმარე წარმოებებში დასაქმებული მუშების ცვლის შიგა მოცდენები.

ბევრ საწარმოსა და ორგანიზაციაში დაბალი შრომის დისციპლინის ერთ-ერთი მიზეზთაგანია სუსტი აღმზრდელობითი მუშაობა, შრომის პირობების გაუმჯობესების არასაკმარისი ღონისძიებები. ყველგან როდი იჩენენ საჭირო ზრუნვას მუშაკებისათვის შრომის ჯანსაღი, ნორმალური საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის. ასეთ პირობებში, ცხადია, ძნელია კადრების შენარჩუნება, დენადობის შემცირება. როგორც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ სამრეწველო საწარმოებში სპეციალურად განხორციელებულმა შერჩევითმა გამოკვლევამ ცხადყო, სამუშაოდან მუშების საკუთარი სურვილით წასვლა მეტწილად გამოწვეულია იმით, რომ დამაკმაყოფილებელი არ არის შრომისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, ცუდია საბინაო პირობები, დაბალია ანაზღაურება. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხების გადაწყვეტას უნდა ვუდგებოდეთ კომპლექსურად. გარდა საწარმოო-ტექნიკური ხასიათის ღონისძიებების განხორციელებისა, საჭიროა ყოველნაირად გავრცელდეს შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების მოწინავე ფორმები, რომლებიც წარმოებაში ორგანიზებულობისა და წესრიგის განმტკიცებას შეუწყობდა ხელს.

ყველაფერი, რაც შრომის დისციპლინას ეხება, არსებითად დაკავშირებულია შრომის ნაყოფიერებასთან.

როგორც ცნობილია, პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმის მოწოდების პასუხად რესპუბლიკის მშრომელებმა, ისევე როგორც ქვეყნის სხვა მოწინავე შრომითმა კოლექტივებმა, ვალდებულება იკისრეს მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების ზეგეგმით 1 პროცენტით გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების დამატებით 0,5 პროცენტით შემცირებას. ეს მეტად პასუხსაგები ვალდებულებაა და იგი შეიძლება შესრულდეს მხოლოდ დამატებითი რეზერვების ინტენსიური ძიების, მატერიალური და შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების, მაღალი ორგანიზებულობის, მტკიცე შრომის დისციპლინის პირობებში.

„ორგანიზებულობის, წესრიგის საკითხი, — აღნიშნა 1984 წლის თებერვლის პლენუმზე კ. უ. ჩერნენკომ, — ჩვენთვის საკვანძო, პრინციპული საკითხია. ამის თაობაზე ორი აზრი არ შეიძლება იყოს, ყოველგვარ მოდუნებას, უპასუხისმგებლობას საზოგადოებისათვის მარტო მატერიალური ზარალი როდის მოაქვს. ისინი სერიოზულ სოციალურ, ზნეობრივ ზიანსაც გვაყენებენ. ეს კარგად გვესმის ჩვენ, კომუნისტებს, ესმის მილიონობით საბჭოთა ადამიანს... და სავსებით კანონზომიერია, რომ ჭეშმარიტად მთელმა ხალხმა მოიწონა შრომის, საწარმოო, საგეგმო და სახელმწიფო დისციპლინის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცების მიზნით პარტიის მიერ დასახული ღონისძიებანი".

გ. ციქურიშვილი,
საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე.

თეორიის საკითხები

საბჭოთა პატრიოტიზმი და საერთო-ეროვნული სიამაყე

სკკპ XXVI ყრილობამ პარტიის წმიდათაწმიდა მოვალეობად მიიჩნია მშრომელთა აღზრდა საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, იმ დიადი გრძნობის სულისკვეთებით, რომ ისინი ერთიანი დიადი საბჭოთა სამშობლოს შვილები არიან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმმა მოითხოვა, რომ საბჭოთა ხალხის აღზრდას სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით უნდა ვეწეოდეთ ფართოდ, გულმოდგინედ, პატრიოტულ აღზრდასთან ორგანულ კავშირით, ვმოქმედებდეთ პარტიული პრინციპულობისა და ეროვნული შეზღუდულობისა თუ ეროვნული ნიჰილიზმის ყოველგვარი გამოვლენებისადმი შეურიგებლობის პოზიციებიდან. სათუთად ვეკიდებოდეთ ყველა ეროვნების ადამიანთა გრძნობებსა და ღირსებებს. „უნდა მივაღწიოთ იმას, — განაცხადა პლენუმზე კ. უ. ჩერნენკომ, — რომ ორგანულად შევაერთოთ პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდა, თითოეულს ჩამოვუყალიბოთ ერთაშორისი ურთიერთობის მაღალი კულტურა, საბჭოთა სამშობლოსათვის სიამაყის გრძნობა".

დღეს სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში მშრომელთა ეროვნული და ინტერნაციონალური ინტერესები იმდენად დაუახლოვდნენ და გადაეწნენ ერთმანეთს, რომ კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმატებული საქმიანობა თავიანთ ქვეყნების შიგნით და საერთაშორისო ასპარეზზე შეუძლებელია ამ ორი ამოცანის ორგანული შეხამების გარეშე. ცნობილმა მარქსისტულ-ლენინურმა თეზისმა იმის შესახებ, რომ კაპიტალი საერთაშორისო ძალაა და მის დასამარცხებლად საჭიროა პროლეტარიატის საერთაშორისო ერთიანობა, დღეს კიდევ უფრო აქტუალური მნიშვნელობა შეიძინა.

ჩვენმა ქვეყანამ თავისი არსებობის პირველი დღიდანვე პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის პრინციპები სახელმწიფო პოლიტიკის რანგამდე აიყვანა. უკანასკნელ წლებში მიღებულ მთელ რიგ პარტიულ დოკუმენტებსა და საკანონმდებლო აქტებში მასების პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზრდის პრობლემები წინა პლანზეა წამოწეული.

საბჭოთა სახელმწიფოს ახალმა კონსტიტუციამ სსრ კავშირი მშრომელთა — პატრიოტთა და ინტერნაციონალისტთა მაღალი ორგანიზებულობის, იდეურობისა და შეგნებულობის საზოგადოებად გამოაცხადა. კანონი ავალდებულებს ყოველ შრომით კოლექტივს, როგორც საზოგადოების ძირითად უჯრედს, აღზარდოს თავისი წევრები საბჭოთა პატრიოტიზმის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის, კანონების დაცვისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის, სახალხო დოვლათისადმი ყაირათიანი დამოკიდებულების სულისკვეთებით, ლოთობის, ხულიგნობის, მომხვეჭელობისა და კომუნისტური მორალის სხვა ანტიპოდებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

ჩვენს პირობებში საბჭოთა პატრიოტიზმი და სოციალისტური ინტერნაციონალიზმი რეალური ცხოვრება, ფართო სოციალური პრაქტიკაა. მაგრამ არც ერთი თეორია, მსოფლმხედველობა, იდეა, რაოდენ მიმზიდველი და წარმტაციც უნდა იყოს იგი, თავისთავად, თვითდინებით არ ინერგება მასებში, არ ვითარდება, მისი შემდგომი განვითარებისათვის საჭიროა პარტიის დაძაბული იდეოლოგიური მუშაობა.

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებმა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა წარმოაჩინეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის არა მარტო კლასობრივი, არამედ პატრიოტული არსიც. მათ დაასაბუთეს, რომ ყოველი ქვეყნის მუშათა კლასობრივ ბრძოლას ღრმა ეროვნული ფესვები აქვს, რაც განპირობებულია ხალხის ისტორიით, კულტურით, ეროვნული ხასიათის ნიშნებით და პროგრესული ტრადიციებით. ამიტომ ყოველი ქვეყნის მუშათა მოძრაობა გარკვეულ ეტაპზე ინარჩუნებს ეროვნულ ხასიათს. მუშათა კლასი ყალიბდება და მტკიცდება კლასად თავისთავის მხოლოდ ეროვნულ ნიადაგზე.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი მიუთითებდნენ, რომ პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ უწინარეს ყოვლისა ეროვნული ბრძოლაა, რომ თითოეული ქვეყნის პროლეტარიატმა პირველად თავის საკუთარ ბურჟუაზიას უნდა მოუღოს ბოლო. ისინი ილაშქრებდნენ ეროვნული ნიჰილიზმის წინააღმდეგ და მკაცრად აკრიტიკებდნენ იმ დროს გავრცელებულ შეხედულებას, რომ ინტერნაციონალისტური პრინციპების თვალსაზრისით ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა თითქოს რაღაც მეტად უმნიშვნელო საქმე იყოს. ნამდვილად კი იგი, როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავდა, წარმოადგენს „ყოველგვარი ინტერნაციო-

ტექნიკური პროგრესი დროის მოთხოვნაა

არ სჭირდება, ალბათ, მტკიცება იმას, რომ სოფლების სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფა პარტიისა და მთავრობის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი გახდა. სასოფლო სატელეფონო კავშირის შემდგომი გაუმჯობესება გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „სოფლის მოსახლეობის საბინაო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

ამ დადგენილების თანახმად, 1990 წლამდე კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციებში უნდა ამოქმედდეს საერთო სარგებლობის შიდასაწარმოო და სადისპეტჩერო სატელეფონო ქსელები, რომელთა საერთო ტევადობამ 3,3 მილიონი ნომერი უნდა შეადგინოს.

მნიშვნელოვნად გაფართოვდება სატელეფონო ქსელი ჩვენი რესპუბლიკის რეგიონებშიც. 1984-1990 წლებში საქართველოს სოფლებში დამონტაჟდება და ამოქმედდება ავტომატური სატელეფონო სადგურები, რომელთა საერთო ტევადობა 81 ათასი ნომერი იქნება. მათ შორის 40 ათასი ნომერი საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს, ხოლო 35 ათასი

ლი სისტემის ავტომატური სატელეფონო სადგურია, რომლის მუშაობის დროსაც გამოიყენება ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა და ჩაწერილი პროგრამა ცენტრალიზებული მართვით. არსებობს ამ სადგურის ორი სახეობა: პირველი შეიძლება გამოვიყენოთ როგორც სასოფლო სატელეფონო ქსელის საბოლოო სადგური და მისმა ტევადობამ შეიძლება 64-დან 250 ნომერს მიაღწიოს, ხოლო მეორე სახეობას იყენებენ სასოფლო სატელეფონო ქსელის საკვანძო ან ცენტრალურ სადგურად. ამიტომ სადგურის ტევადობა შეიძლება 512-დან 4096 ნომრამდე გადიდდეს.

საინტერესოა, რომ ორივე ტიპის სადგურის ტევადობა შეიძლება ორჯერ გაიზარდოს, თუ მასში დამუშავებული ტელეფონები ჩაირთვება. ამასთან, საჭირო აღარ არის რაიმე დამატებითი მოწყობილობების დამონტაჟება.

ახალ ავტომატურ სატელეფონო სადგურს მთელი რიგი უპირატესობანი აქვს სოფლებში ამჟამად მოქმედ კოორდინატულ ტელეფონის სადგურებთან შედარებით. აი ზოგიერთი მათგანი: უკეთესია სმენადობა, უფრო მცირე რაოდენობის შემაერთებელი ხაზებია საჭირო სხვა სადგურებთან კავშირისათვის. თუ დღეს მოქმედ 2000-ნომრიან კოორდინატულ ავტომატური ტელეფონის სადგუ-

ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმზე ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, მეტი მზრუნველობა გვმართებს იმ დარგების განვითარებისათვის, რომლებიც, ერთი შეხედვით, უშუალოდ არ უკავშირდება აგროსამრეწველო კომპლექსს. ავიღოთ, მაგალითად, კავშირგაბმულობა. როგორც რუსეთის სფს რესპუბლიკის ზოგიერთი ოლქის გამოცდილება გვიჩვენებს, მყარი სადისპეტჩერო კავშირის პირობებში მანქანა-ტრაქტორთა პარკის მწარმოებლობა იზრდება 20-25 პროცენტით, მეცხოველეობის პროდუქტიულობა 5-10 პროცენტით. თითქმის ერთდროულად ქვეითდება მართვის სფეროს სპეციალისტთა დროის დანახარჯები.

და აი, სწორედ აგროსამრეწველო კომპლექსის სადისპეტჩერო სატელეფონო კავშირების დონის ამაღლებისათვის და, საერთოდ, აგროსამრეწველო კომპლექსის ოპერატიული მართვისთვის ყველაზე ხელსაყრელი სწორედ „ისტოკის" ტიპის ავტომატური სატელეფონო სადგური იქნება. „ისტოკის" სქემა საშუალებას აძლევს აბონენტს-ორგანიზატორს ერთდროულად ესაუბროს რამდენიმე აბონენტს და მოაწყოს ოპერატიული თათბირი. ასეთი მოსათათბირებლისათვის აბონენტი წინასწარ კრეფს იმ ტელეფონის ნომრებს, რომლებთანაც საჭიროა დაკავშირება. ნომრებს „იხსომებს" მართვის მოწყობილობა და მერე თანდათან აერთებს აბონენტ-ორგანიზატორთან საჭირო ტელეფონებს.

ეს სიახლე მოეწონება სოფლის მოსახლეობასაც. თუ ოჯახი სტუმრად წავიდა, წინასწარ შეიძლება ბინის ტელეფონით სპეციალური კოდი აიკრიფოს, შემდეგ ნათესავის ტელეფონის ნომერი, და ვინც სახლში დარეკავს, მასპინძლის ტელეფონს დაუკავშირდება. ამგვარად ნებისმიერი აბონენტი, თუკი მოინდომებს, კონტაქტს არ დაკარგავს აბონენტთან. სხვა უპირატესობაც აქვს სასოფლო კვაზიელექტრონულ ავტომატურ სატელეფონო სადგურებს, მაგრამ ყოველი მათგანის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

ერთი რამ ცხადია, საბჭოთა მეცნიერებისა და ინჟინრების მიერ შემუშავებული ახალი სატელეფონო სადგურები გაცილებით უკეთ მოემსახურება აბონენტებს, ამასთან უფრო იოლი გახდება მათი ექსპლოატაცია. 1985 წლიდან სამამულო მრეწველობა მკვეთრად გაზრდის კვაზიელექტრონული ავტომატური სადგურების გამოშვებას და მომავალ წლებში რესპუბლიკის სოფელ ადგილებში გამოჩნდება მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევათა საფუძველზე შექმნილი სიახლენი.

ახალი სასოფლო კვაზიელექტრონული ავტომატური სატელეფონო სადგურები, როგორც უკვე ვთქვით, მოსახერხებელი იქნება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის. ისინი მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ აგროსამრეწველო კომპლექსის ოპერატიულ მართვაში.

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო „ისტოკის" ტიპის კვაზიელექტრონული ავტომატური სატელეფონო სადგურების ფართო გამოყენებას ჩვენი ქვეყნის სოფლებში მეთორმეტე ხუთწლედის დასაწყისიდან ითვალისწინებს. ამ პერიოდში სოფლად 2,1 მილიონი ნომრის ტევადობის სადგური დამონტაჟდება, მათ შორის 1,2 მილიონი — „ისტოკის" ტიპის იქნება.

ა. კარბელაშვილი.

უნივერსალური ტელეფონები

სოფელშიც იქნება

— სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სისტემით დამონტაჟდება, 6,5 ათასი ნომერს კი მწყობრში ჩააყენებს ხილისტრესტის მეურნეობის სამინისტრო.

ამ ავტომატური სატელეფონო სადგურებიდან, რომლებსაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი დაამონტაჟებს, კოლმეურნეობებს 19,2 ათასი, ხოლო საბჭოთა მეურნეობებს 15,8 ათასი საერთო ტევადობის ნომერი გადაეცემათ.

სასოფლო ტელეფონების რაოდენობის ზრდასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მათი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას. ჯერ სამწუხაროდ, ყველგან არ მუშაობს გამართულად ტელეფონები და აბონენტები ამის გამო სამართლიან საყვედურებს გამოთქვამენ.

მომავლისათვის სოფლებში ახალი სისტემის ავტომატური ტელეფონების სადგურების დამონტაჟებაც არის ნავარაუდევი. მხედველობაში გვაქვს, უპირველესად, კვაზიელექტრონული ავტომატური ტელეფონის სადგური „ისტოკი", რომელიც განსაკუთრებული სიზუსტით აკავშირებს ერთმანეთს ტელეფონებს, და, ამასთან, დამატებით მომსახურებას უწევს აბონენტებს. ისინი, თანდათან შეცვლიან სოფლებში მოქმედ ძლევამოსილ ავტომატურ სატელეფონო სადგურებს და 1986-1990 წლებში სასოფლო სატელეფონო კავშირის განვითარება სწორედ ამ სადგურების ბაზაზე მოხდება. გვინდა შევეხოთ „ისტოკის" მოქმედების პრინციპსა და მისი დანერგვის პერსპექტივებს.

„ისტოკი" პრინციპულად ახა-

რის დარბაზს 120 კვადრატული მეტრი ფართობი უკავია, ახალ სადგურს 70 კვადრატული მეტრი ფართობიც ჰყოფნის. ამასთან, ახალი სადგურის დამონტაჟებაზე 1,5-2-ჯერ ნაკლები კაბელი იხარჯება.

კვაზიელექტრონული სატელეფონო სადგურების ტექნიკური მომსახურება ავტომატიზებულია. თუ სადგურის რომელიმე უბანზე დაზიანდა ხელსაწყო, მას დაუყოვნებლივ აღმოაჩენს მართვის კომპლექსი, „იტყვის" მის მიზეზს და დაუყოვნებლივ გამორთავს მას ელექტრონული სქემიდან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სატელეფონო სადგურის გამართულ მუშაობას ყოველთვის ვერ შეუშლის ხელს ცალკეული დეტალების მწყობრიდან გამოსვლა.

სხვათა შორის, მეორე ტიპის კვაზიელექტრონულ ავტომატურ სადგურს მომსახურება მხოლოდ პიკის საათებში სჭირდება, რაც შეეხება პირველი სახეობის სადგურებს, მათ საერთოდ არ სჭირდებათ მომსახურე პერსონალი.

როგორც ცნობილია, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სადისპეჩერო სატელეფონო კავშირი ემსახურება რაიონებისა და აგროსამრეწველო გაერთიანების ხელმძღვანელებს ჯგუფური თათბირების მოწყობაში. ეს ზოგავს დროს და ამცირებს სატრანსპორტო ხარჯებს. დღეს უამისოდ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელები სასწრაფო მითითებების გადასაცემად ხშირად იძულებული არიან რიგრიგობით გამოიძახონ ტელეფონთან საჭირო პირები და ყოველ მათგანს ერთი და იგივე მითითება მისცენ.

საქართველოს კომპარტიის

— სოციალისტურ ქვეყნებში —

● ბულგარეთი

ხელით შრომის შესამცირებლად

სოფია. „ხელით შრომის შემცირება მერვე ხუთწლედის დამკვრელური ფრონტია" — ამ დევიზით ფართოვდება მასობრივი მოძრაობა, ბულგარეთის ხასკოვის ოლქში. აქ მიღებული პროგრამა ითვალისწინებს, რომ მიმდინარე ხუთწლედის (1981-1985) ბოლოსათვის შრომატევადი ხელით სამუშაოებისა და მონოტონური ოპერაციების აღმოფხვრის შედეგად უფრო მწარმოებლური საქმიანობისათვის ოლქში გამოთავისუფლონ 10 ათასამდე მუშა.

ხელით შრომის წილის შემცირებისათვის ბრძოლა ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში, როგორც აღნიშნულია ამას წინათ მიღებულ შრომის ახალ კოდექსში, მიზნად ისახავს საწარმოში შემოქმედებისა და ინიციატივისათვის პირობების შექმნას. ხასკოვის ოლქში ეს ამოცანა, უწინარეს ყოვლისა, უახლესი ტექნოლოგიის დანერგვის, ავტომატიზებული უბნებისა და ხაზების შექმნის გზით წყდება.

● ჩეხოსლოვაკია

ზოგავენ ნედლეულსა და მასალებს

პრაღა. 200 კილომეტრზე გაჭიმული 18 ათასვაგონიანი ხარკინიგზო შემადგენლობა დასჭირდებოდა იმ ლითონის, ნედლეულისა და მასალების მიწოდებას, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მშრომელებმა დაზოგეს „ნედლეული რესურსების მომჭირნეობისათვის" შეჯიბრების მსვლელობაში. იგი უკვე მეთორმეტე წელია იმართება და მიზნად ისახავს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების პრაქტიკაში დანერგვის დაჩქარებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას.

ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ჩანს წარმოების ნოვატორთა და რაციონალიზატორთა საქმიანობის მაგალითზე. მათი სიახლეების დანერგვის შედეგად მიღებულმა ეკონომიკურმა ეფექტმა ზემოაღნიშნულ წლებში 3,8 მილიარდი კრონი შეადგინა. სტატისტიკოსებმა გამოიანგარიშეს, რომ „ნედლეული რესურსების მომჭირნეობისათვის" შეჯიბრების წყალობით დაიზოგა 36 ათასი ტონა ფოლადი და თუჯი, 2 ათას ტონამდე ფერადი ლითონი, 1175 კილოგრამი ძვირფასი ლითონები.

● მონღოლეთი

ჯილდოდ... კომბაინი

ულან-ბატორი. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ცენტრალური აიმაკის „ბაიანცოგტის" სახელმწიფო მეურნეობის ცნობილ მექანიზატორს ბ. ნაიანტაის მონღოლეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ხ. სოდნომდორჯმა საზეიმო ვითარებაში გადასცა სახელობითი კომბაინი „ნივა". ეს დიდი პატივი სოფლის მშრომელს დასდეს რეკორდული საწარმოო მაჩვენებლებისა და ტექნიკის სანიმუშო მოვლისათვის.

ოც წელზე მეტია მექანიზატორს ემსახურება საბჭოთა კომბაინი „სკ-3". ამ ხნის მანძილზე ბ. ნაიანტაიმ 11 ათას ცენტნერზე მეტი ხორბალი აიღო. იგი მონღოლეთში ცნობილია როგორც თავისი საქმის ნამდვილი ოსტატი და ახალგაზრდობის გულისხმიერი დამრიგებელი ბ. ნაიანტაის მაგალითით აიმაკის სახელმწიფო მეურნეობებში ფართოვდება მოძრაობა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მოვლა-პატრონობისათვის, მოწინავე საბჭოთა გამოცდილების დასაუფლებლად.

ფოტოინფორმაცია

● რუმინეთი

კონსტანცის ნავსადგური მსოფლიოს უდიდეს ნავსადგურთა პირველ ათეულში შედის. აქ არსებული საწყობები და საცავები 200 ათას ტონა ტვირთზეა ნავარაუდევი. უახლესი ტექნიკით აღჭურვილი 65 ნავსაყუდელი ერთდროულად ათობით საზღვაო გემს ემსახურება.

რესპუბლიკის „მთავარი საზღვაო ჭიშკარი" ყოველდღიურად 70-მდე გემს იღებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, მათ შორის სსრ კავშირიდან და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებიდან.

სურათზე: კონსტანცის ნავსადგურში.

აჯერპრეს-სააგენტოს ფოტო.

● ამერიკის შეერთებული შტატები

დაძაბულობის ესკალაციის გზით

ვაშინგტონი. პენტაგონის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეიგანის ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება ავიამზიდი „ამერიკა" გაგზავნოს წითელ ზღვაში, სადაც, როგორც ცნობილია, უკვე იმყოფება შეერთებული შტატებისა და მისი ნატოელი მოკავშირეების საბრძოლო ხომალდების რაზმი.

თეთრი სახლის გადაწყვეტილება პოლიტიკურ მეთვალყურეებს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში დაძაბულობის ესკალაციის გზაზე გადადგმულ ახალ ნაბიჯად მიაჩნიათ.

ტრიპოლი. ლიბიის საგარეო ურთიერთობის სახალხო ბიურომ აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში ხაზი გაუსვა, რომ წითელ ზღვაში ნაღმების დადებისათვის პასუხის-

მგებლობა აკისრიათ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტურ წრეებს და მათ ხატელიტებს, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუქმნან არაბულ ქვეყნებს.

გადაჭრით დაგმო რა ვაშინგტონის მიერ გაჩაღებული ლიბიის საწინააღმდეგო ცილისმწამებლური კამპანია, ლიბიის საგარეო ურთიერთობის სახალხო ბიურომ აღნიშნა, რომ ამ სიცრუის დახმარებით იმპერიალიზმი და რეაქცია ცდილობენ შეინარჩუნონ წითელი ზღვის აუზში თავიანთი სამხედრო ყოფნა, არაბული საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშორონ ლიბანში ეგრეთ წოდებული „მრავალეროვანი ძალების" მისიის ჩაფუშვას, არაბ ხალხებს, ნათქვამია განცხადებაში, შეუძლიათ გამოაშკარავონ იმპერიალისტური და რეაქციული წრეების სიცრუე და ჩაფუშონ მტრული ძალების გეგმები.

27 კვირისათვის

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები საკვირაო იუმორი

მნიშვნელოვანი გამარჯვება...

ინდიელთა მამაცი ლიდერის ლ. პელტიერის დასაცავად

ნიუ-იორკი. მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა ამერიკის დემოკრატიულმა საზოგადოებრიობამ, რომელიც იბრძვის ამერიკელი ინდიელების უფლებებისათვის თვალსაჩინო მებრძოლის ლეონარდ პელტიერის დილეგიდან განთავისუფლებისათვის. როგორც საკვირის კორესპონდენტს აუწყა ვაშინგტონელმა იურისტმა მარგარეტ გოულდმა, ქალაქ სენტ-ლუისის (მისურის შტატი) ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მკვიდრ ამერიკელთა ამ მამაცი ლიდერის „საქმის" გამო მოაწყოს ახალი მოსმენები, რომლებიც დაიწყება მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს ქალაქ ბისმარკში (ჩრდილოეთ დაკოტის შტატი).

ლ. პელტიერი საპყრობილეში დაამწყვდიეს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური საიდუმლო პოლიციის — გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ თავიდან ბოლომდე შეთითხნილი ბრალდებით, რომ მოეკლეს ორი აგენტი, სინამდვილეში კი „ამერიკელ ინდიელთა მოძრაობის ერთ-ერთ ხელმძღვანელს იმაში მიუძღოდა „ბრალი", რომ მრავალი წლის მანძილზე აქტიურად მონაწილეობდა ამერიკის მკვიდრთა ბრძოლაში თავიანთი მოქალაქეობრივი უფლებებისათვის. იგი იყო იმათ შო-

რის, ვინც სათავეში ჩაუდგა უფლებობით სასოწარკვეთილი სიუს ტომის ინდიელთა საპროტესტო გამოსვლებს დაბა ვუნდედ-ნიში 1973 წელს. აშკარა ცრუმოწმეების საფუძველზე მას გამოუტანეს განაჩენი: ორი სამუდამო პატიმრობა. მაგრამ განსაკუთრებით მკაცრი რეჟიმის საპყრობილეებში გატარებულმა რვა წელმაც კი ვერ გატეხა ლ. პელტიერი — ამას წინათ მან ორი თვის საპროტესტო შიმშილობასაც გაუძლო.

ახალი სასამართლო გარჩევის მოწყობისათვის რომ მიეღწიათ, ლ. პელტიერის განთავისუფლებისათვის მებრძოლებს მოუხდათ გადაელახათ ხელისუფალთა წარმომადგენლების მიერ მათს გზაზე აღმართული მრავალი დაბრკოლება. ბოლო მათგანი იყო ქალაქ ფარგოს (ჩრდილოეთ დაკოტის შტატი) საოლქო მოსამართლის კატეგორიული უარი განეხილათ ინდიელი ლიდერის ადვოკატების მიერ წამოყენებული არგუმენტები, რომლებიც აშკარად ცხადყოფენ სასამართლო პროცესის სიყალბეს. ხელისუფალნი ცდილობენ ხელი შეუშალონ ლ. პელტიერის „საქმის" გამო ახალ მოსმენათა მოწყობას, აღნიშნა მ. გოულდმა, ვინაიდან შიშობენ, რომ ამ მოსმენათა დროს გამოვლინდება გამოძიების ფედერალური ბიუროს საზარელი სიცრუე, გამოაშკარავდება ის ბინძური მეთოდები, რომლებსაც ამერიკის სპეცსამსახურები იყენებენ იმ ამერიკელებთან ანგარიშსწორებისათვის, რომელთა მრწამსიც „საშიშროა" მათთვის. ინდიელი ლიდერის დამცველებს აქვთ, კერძოდ, ახალი ბალისტიკური ექსპერტიზის შედეგები, რომლებიც მოწმობს, რომ ტყვიები, რომლებითაც პაინ-რიჯის (სამხრეთ დაკოტის შტატი) რეზერვაციის ტერიტორიაზე მოკლეს გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტები, არ შეიძლებოდა გასროლილი ყოფილიყო ლ. პელტიერის თოფიდან.

დარწმუნებული ვარ, ხაზი გაუსვა ადვოკატმა, რომ ლ. პელტიერი საპყრობილეში ჩასვეს მხოლოდ იმიტომ, რომ აქტიურად იბრძოდა ამერიკელ ინდიელთა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური უფლებებისათვის. ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების პროგრესულ საზოგადოებრიობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მიაღწიოს მის სრულ განთავისუფლებას.

• • •

სურათზე: ლეონარდ პელტიერი საპატიმროში.

მოკლედ

● **ქაბული.** ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ტექნიკური კულტურების, განსაკუთრებით ბამბის წარმოების გადიდება. ამ მიზნით სახელმწიფო გლეხებს ხელსაყრელ პირობებს უქმნის. მიმდინარე წელს მათ შეღავათიანი პირობებით მისცეს 16 ათას ტონაზე მეტი ქიმიური სასუქები და პესტიციდები.

● **დელი.** პრეს ტრასტ ოფ ინდიას სააგენტო იუწყება, რომ ამ დღეებში საჰაერო მეკობრეთა ჯგუფმა ხელში ჩაიგდო ინდოეთის ავიაკომპანიის თვითმფრინავი, რომელიც დაფრინავდა პენჯაბის შტატის მთავარი ქალაქიდან — ჩანდიგარხიდან ჯამუსა და ქაშმირის შტატის ქალაქ სრინაგარში. მათ მფრინავი აიძულეს პაკისტანში გაფრენილიყო. გატაცებული თვითმფრინავი 90-ზე მეტი მგზავრითა და ეკიპაჟით ქალაქ ლაჰორში დაჯდა.

1984 წელს ეს უკვე მეორედ გაიტაცეს ინდოეთის თვითმფრინავი.

● **ანკარა.** თურქეთის ნავთობის დაზვერვისა და მოპოვების სახელმწიფო ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა ი. ქილიჩოღლუმ ადგილობრივი, საგანგებოთათვის მიცემულ ინტერვიუში აღიარა, რომ ნავთობის მარაგი ქვეყანაში ჯერ კიდევ მთლიანად გამოკვლეული არ არის. ამასთანავე ქილიჩოღლუმ აღნიშნა, რომ 1988 წლიდან დაწყებული დასავლეთის ნავთობის კომპანიებმა, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის კომპანიებმა, კვლავ გამოიჩინეს თურქეთისადმი მზარდი ინტერესი.

● პანამა

გამომწვევი აქცია

პანამა. პანამის პროგრესული საზოგადოებრიობის აღშფოთება გამოიწვია პანამის არხის კომისიაში ამერიკის წარმომადგენლების გამომწვევმა მოქმედებამ, რომლებმაც ამ არხით სარგებლობის ნება დართეს რადიოაქტიური ნივთიერებებით დატვირთულ ბრიტანეთის გემს „პასიფიკ ფიშერს". როგორც პრენსა ლატინას სააგენტო გვაცნობებს, პანამის მთავრობამ, გაითვალისწინა რა ამ ტვირთის საშიშროება, ხომალდის კაპიტანს აუკრძალა ეროვნულ ნავსადგურებში შესვლა. მაგრამ პანამის ხელისუფალთა გადაწყვეტილება უგულებელყვეს პანამის არხის კომისიის ამერიკელმა თანამშრომლებმა, რის შედეგადაც გემი, რომელიც დატვირთული იაპონიაში 250 კილოგრამი პლუტონიუმით, შეუფერხებლად გავიდა წყნარი ოკეანიდან ატლანტის ოკეანეში და კურსი ინგლისისაკენ აიღო. ამერიკის წარმომადგენლების, აგრეთვე ბრიტანეთის სანაოსნო კომპანიის ქცევას, რომელსაც ეკუთვნის მზრალი ტვირთი, ადგილობრივი პრესა აფასებს, როგორც გამომწვევს.

რესპუბლიკაში კვლავ მწვავედ წამოიჭრა პანამის არხის კომისიის რწმუნებულებათა საკითხი, რომელშიც უმრავლესობას ამერიკელები შეადგენენ. პანამელები შემფოთებით კითხულობენ: შეუძლია თუ არა კომისიამ მიიღოს გადაწყვეტილებანი, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ეროვნულ უშიშროებას. გაზეთი „პრენსა" აღნიშნავს, რომ „პასიფიკ ფიშერის" კატასტროფის შემთხვევაში პანამას თავს დაატყდებოდა მის ისტორიაში არნახული უბედურება.

პანამის მთავრობას, წერს გაზეთი „რეპუბლიკა", რომელიც მოქმედებდა მხოლოდ ქვეყნის ინტერესებისათვის, განზრახული აქვს კვლავაც გაუხრელად დაიცვას ეროვნულ ტერიტორიაზე ბირთვული იარაღის დაუშვებლობის პოლიტიკა.

ფოტოფაქტი

დემონსტრაცია ამერიკის საკონსულოსთან

● გფრ

შტუტგარტში ამერიკის შეერთებული შტატების საკონსულოს შენობის წინ გაიმართა ომისსაწინააღმდეგო დემონსტრაცია. იგი დაუკავშირეს შეერთებული შტატების მიერ იაპონიის ქალაქ ხიროსიმის ატომური დაბომბვის 39 წლისთავს. დემონსტრაციის მონაწილეებმა დაგმეს ბირთვული იარაღი და საკონსულოს შენობის წინ მოაწყვეს ბირთვული დაბომბვის მოსალოდნელი შედეგების ინსცენირება, იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტო.

სურათზე: დემონსტრაციის დროს.

ასოშიეიტედ პრესის ფოტო

კონტაქტები, თანამშრომლობა

გამოცემულია ნორვეგიაში

— ვცინდა ფართო პროპაგანდა გავუწიოთ სკანდინავიის ქვეყნებში ქართული ლიტერატურის ნიმუშებს, — თქვა ნორვეგიის გამომცემლობის „ალტერის" წარმომადგენელმა კრისტიან კრისტოფერსენმა ქართველ მწერლებთან და საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის მთავარი სარედაქციო კოლეგიის თანამშრომლებთან შეხვედრაზე. კრისტიან კრისტოფერსენი მეთაურობს ნორვეგიის გამომცემლობათა თანამშრომლების ჯგუფს, რომელიც ეცნობა სსრ კავშირის ხალხთა ეროვნულ ლიტერატურებს. — ქართული ლეგენდებისა და მითების შთაგონებით გავიზარდე, — თქვა შემდეგ ნორვეგიელმა სტუმარმა, — დედაჩემი ბათუმში დაიბადა და ჩემს მოგონებაში მშობლიური ნორვეგიელ მკითხველებს გავაცნო თავისთავადი ქართული ლიტერატურისა და ფოლკლორის ნაწარმოებები.

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის მთავარი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარემ ო. ნოდიამ გააცნო სტუმრებს კოლეგიის სტრუქტურა და საქმიანობა.

აღინიშნა, აგრეთვე, რომ ნორვეგიული ლიტერატურა დიდად პოპულარულია საქართველოში. უკანასკნელ წლებში გამოიცა ნორვეგიელი მოთხრობების კრებული, ჰენრიკ იბსენის, კნუტ ჰამსუნის, ტურ ჰეიერდალისა და სხვების ნაწარმოებები. თავის მხრივ ნორვეგიელმა გამომცემლებმა მასპინძლებს საჩუქრად გადასცეს ოსლოში ორი წლის წინათ გამოცემული ქართული პოეზიის ანთოლოგია. იქვე გამოიცა ნორვეგიელი ქართველოლოგის ჰანს ფოქტის ნაშრომები „ქართული ენის დიალექტები" და „კავკასიური ენები".

(საქინფორმი).

ბაში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის, ყოველივე ამით სამართლიანად ამაყობს რესპუბლიკის ყოველი პატიოსანი მოქალაქე.

თუ ნამდვილი პატრიოტი ხარ, უდიდოდ გახარებს შენი რესპუბლიკის ყველა წარმატება, მისი სახელი და დიდება. მაგრამ ამავე დროს სინანულის გრძნობაც გეუფლება, როცა არცთუ იშვიათად აწყდები ჩვენს ცხოვრებაში საკმაოდ ფეხმოკიდებულ ნეგატიურ მოვლენებს.

ეროვნული სიამაყის გრძნობას იწვევს თითოეულ ჩვენგანში, როცა ქართულ ხელოვნებას ფეხზე იდგომით ტაშს უკრავს მსოფლიოს დიდი ქვეყნების თეატრებისა და საკონცერტო დარბაზების მილიონობით მაყურებელი, როცა ლონდონში რუსთაველის თეატრის გასტროლების შესახებ ინგლისელი თეატრალური კრიტიკოსები ოფიციალურად აცხადებდნენ და წერდნენ: „ქართველებმა შექსპირი ხელახლა აღმოგვაჩენინეს", არ ყოფილა შემთხვევა, რომ „ლონდონელ მაყურებელს ასეთი აღფრთოვანებით მიეღოს საზღვარგარეთული თეატრი".

საფუძველი გვაქვს ვიამაყოთ, როცა ქართველი მეცნიერები, მწერლები, კომპოზიტორები, მხატვრები, არქიტექტორები, თეატრისა და კინოს მოღვაწეები, სახელოვანი სპორტსმენები საკავშირო და მსოფლიო აღიარებას იმსახურებენ, როცა უცხო ქვეყნების ქართველოლოგები იკვლევენ ჩვენი ისტორიისა და კულტურის პრობლემებს. თანამედროვე ქართული პროზისა და პოეზიის საუკეთესო ნიმუშებში ასახულია მშრომელი ხალხის ამაღლებული პატრიოტული გრძნობები და საერთაშორისო, ინტერნაციონალური პრინციპები.

მარქსისტ-ლენინელები, რომლებიც ერთსა და იმავე დროს პატრიოტებიც არიან და ინტერნაციონალისტებიც, მთლიანად უჭერენ მხარს ეროვნული ინტერესისა და ეროვნული სიამაყის ასეთ გაგებას.

პატრიოტობა ნიშნავს უანგაროდ ემსახურო სამშობლოს, ხელი შეუწყო მის ეკონომიკურ და სამხედრო ძლიერებას. პატრიოტია ის, ვინც თავის პოსტზე ერთგულად შრომობს, გვიჩვენებს დისციპლინისა და ორგანიზებულობის ნიმუშს; პატრიოტია ყველა, ვინც გატაცებით მუშაობს და ხელს უწყობს ქვეყნის მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის გამრავლებას; პატრიოტია ის მშობელი, რომელიც თავის შვილებს უნერგავს შრომისმოყვარეობას, პატიოსნებას, პრინციპულობას, ზნეობრივ სისპეტაკეს; პატრიოტია ის ლექტორი, რომელიც შემოქმედებითად ამდიდრებს ყოველ ლექციას, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით შედის აუდიტორიაში, განაწყობს ყოველ სტუდენტს დაუღალავად იშრომოს და ფრიადზე ისწავლოს; პატრიოტია ის ექიმი, რომელიც სისტემატურად იმაღლებს თავის კვალიფიკაციას და უანგაროდ მკურნალობს ავადმყოფს; პატრიოტია ყველა საბჭოთა ადამიანი, რომელიც ხასიათდება მაღალი ზნეობრივი სიწმინდით, პატივს სცემს სხვა ერის წარმომადგენელთა ეროვნულ ღირსებას, ხელს უწყობს ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას. ერთი სიტყვით, პატრიოტია ის მოქალაქე, რომელიც სამშობლოსადმი ერთგულებას, მის სიყვარულს ყველაფერზე მაღლა აყენებს.

მაგრამ მამულიშვილობა, სამშობლოს სიყვარული გრძელ-გრძელი სადღეგრძელოების, გულზე მუშტის ცემით და ბრტყელ-ბრტყელი მეტაფორების ქადაგებით არ უნდა ამოიწურებოდეს. დღეს ისიც კი არ კმარა, რომ გიყვარდეს სამშობლო, მთავარია შენი პრაქტიკულ საქმეს მამული აფასებდეს.

თავის დროზე აკაკი წერეთელი გესლიანად კიცხავდა ცრუ პატრიოტებს, რომლებიც საქმით პი-

რად ბედნიერებაზე ზრუნავდნენ და სამშობლო სუფრაზე გაახსენდებოდათ. რა აქტუალური და თანამედროვეა აკაკის ლექსი „ქართული პატრიოტობა": „როდესაც ჩემ-წინ სუფრაზე ცხელი მეშხუნა მწვადია, მაშინ მე სამშობლოსათვის ყოველი კარგი მწადია! როცა გადავკრავ ნუნუას თასყანწით, გინდა კულით, მაშინ მეც ზეცას ვაყვედრებ ამ ჩემ სამშობლოს გულით". უზერებელია აკაკის პოეზია, რომლის სარკეში ფართო პლანით მოჩანს თანამედროვე ცრუპატრიოტობა. ამასთან, როცა პატრიოტიზმის ამაღლებულ გრძნობებზე ვლაპარაკობთ და ჩვენს პროგრესულ ტრადიციებს წარმოვაჩენთ, თავი ისე არ უნდა გვეჭიროს, რომ მხოლოდ მარტო „ჩვენ გვზრდიან დედანი". ვაჟას ეს შეგონება ყოველთვის გასათვალისწინებელი და ანგარიშგასაწევია.

„საბჭოთა პატრიოტიზმი და სოციალისტური ინტერნაციონალიზმი გამორიცხავს ეროვნულ შეზღუდულობას, ეროვნულ ყოყოჩობას, შოვინიზმის ელემენტებსა და სოციალისტური საზოგადოებისათვის უცხო სხვა გამოვლინებებს" (ე. შევარდნაძე).

პატრიოტიზმი, სამშობლოს სიყვარული მჭიდროდ არის დაკავშირებული ისტორიასთან, რადგან ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისათვის, პროგრესული ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს წარსულის ცოდნას, რომელიც აფართოებს და აღრმავებს ადამიანის მსოფლმხედველობას. ამიტომ ისტორიოგრაფია ყოველთვის წარმოადგენდა პატრიოტიზმის სოლიდურ საფუძველს.

ქართული მეცნიერული ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი ივანე ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ ყოველმა განათლებულმა ერმა „უნდა იცოდეს თავისი წარსული

საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია, უტყუარი, ჭეშმარიტი და არა გაზვიადებული, ყალბი".

აწმყოც და მომავალიც ხომ წარსულის წიაღიდან და ისტორიიდან მოედინება. ნამდვილად ბრძნულია გამონათქვამი: „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა". ცხოვრება მოწმობს, რომ ისტორია არის მშობელიც, მასწავლებელიც და აღმზრდელიც. იგი ასწავლის მომავალ თაობებს, რა აიღონ წარსულის წიაღიდან სახელმძღვანელოდ, სამძღვროდ და სამოქმედოდ, ან რა უკუაგდონ და რას განერიდონ. ისტორიის ცოდნა, საჭიროა, რათა მომდევნო თაობებმა არ გაიმეორონ წინაპართა შეცდომები.

„ისტორია და პატრიოტიზმი, — წერდა ნ. ბერძენიშვილი, — ერთმანეთისაგან განუყოფელია. მეორე პირველის საფუძველია. ისტორია პატრიოტული მეცნიერებაა. პატრიოტიზმთან გარკვეული დამოკიდებულებების გარეშე ისტორიოგრაფია წარმოუდგენელია".

ისტორიის შესწავლის აუცილებლობაზე რამდენი ბრძნული აზრი შემოუნახავს შთამომავლობას ილია ჭავჭავაძეს. „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, — წერდა ილია, — როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, აღარ ახსოვს ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის... შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზე გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა. შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიაჩნდა კეთილად და რა კეთილი ავად, რა უმართავდა ხელს და რა აბრკოლებდა, და რისთვის და რაში უქმობდა".

ისტორიის დაუფლებაზე ბევრი საინტერესო მოსაზრება აქვთ გამოთქმული რუს მეცნიერებს, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებს.

„წინაპართა შესწავლისას, — წერდა გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი ვ. კლიუჩევსკი, — ჩვენ თავსაც შევიცნობთ. თუ არ ვეცოდინება ისტორია, თავი უნდა ჩავთვალოთ შემთხვევითობად, რომელმაც არ უწყის, ამ ქვეყნად როგორ მოვედით და რატომ, როგორ ვცხოვრობთ და რისთვის, რისკენ უნდა მივისწრაფოდეთ და როგორ". მაშასადამე, სამშობლოს მიერ განვლილი ისტორიული გზის, მისი წარსულის შესწავლა და პატივისცემა პატრიოტის განუყოფელი თვისებაა.

პატრიოტიზმის გრძნობის ჩანერგვა ბავშვობიდანვე იწყება. იგი ვითარდება სწავლის პერიოდში და ახალ უმაღლეს საფეხურზე ადის შრომის პროცესში. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ აღვზარდოთ ახალგაზრდა თაობა საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების საფუძველზე.

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის კანონი მოითხოვს გავაძლიეროთ მოსწავლეთა აღზრდა საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით, ვუნერგავდეთ ახალგაზრდებს კომუნისტურ შეხედულებათა დაცვის უნარს, მეშჩანობისადმი, სხვათა მოიმედეობისადმი, მეშჩანური დამოკიდებულებისადმი შეურიგებლობას.

სამწუხაროდ, ახალგაზრდობის ერთ, მცირე ნაწილში ჯერ კიდევ ვაწყდებით ნეგატიურ მოვლენებს, ცხოვრებისადმი, შრომისადმი ამრეზილი დამოკიდებულების ფაქტებს. შეშფოთებას იწვევს ზოგიერთი ახალგაზრდის დაგვიანებული მოქალაქეობრივი ჩამოყალიბება და პოლიტიკური გულგრილობა, არასწორი წარმოდგენა ცხოვრების აზრსა და მიზანზე,

ეულოდინარობა და უუნარობა კლასობრივი პოზიციებიდან შეაფასოს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენები.

ჩვენი მოწინააღმდეგენი ყოველნაირად ცდილობენ თავიანთი მიზნებისათვის გამოიყენონ სწორედ ასეთი ახალგაზრდები, მოწამლონ და დაიმორჩილონ მათი გონება, დაუპირისპირონ ისინი უფროს თაობას, შთაუნერგონ მათ ბუნტარული სული, სკეპტიციზმი და აპოლიტიკურობა, მაგრამ აპოლიტიკურობაც ხომ პოლიტიკაა! ამიტომ ამ უცხო, მიუღებელი პოლიტიკის ყოველ გამოვლინებას უნდა ვებრძოლოთ.

იმპერიალიზმის მრავალრიცხოვანი ცენტრები დღენიადაგ ესწრაფვიან თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციონ საბჭოთა ადამიანების არცთუ მცირე ნაწილი, რელიგიის გავლენას რომ განიცდის, მისცენ მას ანტისაბჭოური, ნაციონალისტური მიმართულება, გადაიბირონ ახალგაზრდობა, დანერგონ მასში რელიგიურობა, კურსი აიღონ რელიგიურ ექსტრემისტებზე, გაავრცელონ ათასნაირი მონაჭორი სსრ კავშირში სინდისის თავისუფლების დარღვევის შესახებ.

ჩვენში დიდი ხანია არა მარტო გამოცხადებულია სინდისის თავისუფლება, არამედ კონსტიტუციურად დაკანონებულია მისი პრაქტიკული განხორციელების გარანტიები. საბჭოთა სახელმწიფოს მეთოდია დარწმუნება, პროპაგანდა. მაგრამ, როცა ადგილი აქვს ძირგამომთხრელ პოლიტიკურ საქმიანობას, რომელსაც არცთუ იშვიათად რელიგიის ნიღაბი აქვს აფარებული, მაშინ საბჭოთა მართლმსაჯულება მოქმედებს კანონის შესაბამისად.

სამშობლო მარტო მიწა-წყალი, ტყეები, წარმტაცი ბუნება, სათვისი და საძოვარი ფართობები როდია. იგი ამასთან ერთად არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილება, ხალხის კულტურა, პროგრესული ტრადიციები და

სხვა. ახლავე ცხოვრებამ მთლიანად გააქარწყლა ის აზრი, რომ თითქოს სამშობლო იყოს ყოველი ქვეყანა, სადაც ადამიანი თავს კარგად გრძნობს. მოსწრებულად აქვს ამის შესახებ ნათქვამი ა. გრიბოედოვს, რომ მშობლიური ბოლიც კი ტკბილი და საამოა.

ალბათ, ბევრს საკუთარ თავზე განუცდია ის გრძნობა, თუ როგორ ცდილობ, რაც შეიძლება მალე დაბრუნდე შენს მშობლიურ მხარეში უცხო ქვეყნიდან, რომელშიც სულ რაღაც ორკვირიან ტურისტულ მოგზაურობაში იყავი. რაღა თქმა უნდა, სრულიად გასაგებია იმ ადამიანთა ნოსტალგია, რომლებიც სხვადასხვა დროს წავიდნენ უცხო ქვეყნებში და მუდმივად ცხოვრობენ იქ. ყველასათვის ცნობილია, რომ მათი დიდი უმრავლესობის ხვედრია დაგვიანებული სინანული, სამშობლოს სევდა, კაეშანი. ბევრი მათგანი კი არა მარტო ოცნებობს, არამედ ყველაფერს აკეთებს, ოღონდ კი დაბრუნდეს თავის ნამდვილ სამშობლოში, რაც ხშირად არცთუ ისე იოლი ხდება.

საუკუნეებს გადასწვდება რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა", რომელიც მახლობელი და გასაგებია ყველა ერისა და ეროვნების ადამიანებისათვის. იგი ღრმა პატრიოტიზმის გრძნობას აღუძრავს ყველას და ამავე დროს საერთო-კაცობრიული, ინტერნაციონალურია. ეს ლექსი გამოხატავს ყოველი ადამიანის ყველაზე საწუკვარ გრძნობას—სამშობლოს სიყვარულს: „სამშობლო, დედის ძუძუი არ გაიცვლების სხვაზედა, ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩევნის ორთავ თვალზედა, როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა"!

დიახ, მართლაც ერთია სამშობლო, რომელსაც ვერც ერთი ადამიანის ვერ შეცვლის!

ვლადიმერ მერკვილაძე,
პროფესორი.

● ვიეტნამ-ჩინეთი

პროვოკაციები საზღვარზე

ჰანოი. ჩინეთის მხარე განაგრძობს შეიარაღებულ პროვოკაციებს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საზღვარზე, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო.

ჩინელი ჯარისკაცების ქვედანაყოფები 19 და 20 აგვისტოს შეიჭრნენ ვიეტნამის ტერიტორიაზე ლანგშონის პროვინციაში, შეუტიეს მთელ რიგ სოფლებს.

იმავე დღეებში ჩინეთის არტილერიამ მასირებული ცეცხლი დაუშინა ხატუენის სასაზღვრო რაიონებს. ადგილობრივ მოსახლეობაში არის მსხვერპლი, მიყენებულია საგრძნობი მატერიალური ზარალი. ამავე დროს ჩინეთის მხარემ მკვეთრად გააქტიურა ჯაშუშურ-დივერსიული საქმიანობა. უშიშროების ორგანოებმა შეიპყრეს რამდენიმე ჩინელი ჯაშუში და დივერსანტი, იუწყება ვიას სააგენტო.

დიდი სამამულოს ქრონიკები

აი რას წერდა გაზეთი „კომუნისტი" 40 წლის წინათ

— 1944 წლის 24-28 აგვისტო

● **უკრაინის** მე-2 ფრონტის ჯარებმა შეტევის მსვლელობაში იერიშით აიღეს მოწინააღმდეგის თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტები — ქალაქები იასი, ტირგუ-ფრუმოსი, უნგენი და ბრძოლებით დაიკავეს 200-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი. მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისას და აღნიშნული ქალაქების დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინა აგრეთვე გენერალ-მაიორ ჯახუას შენაერთმა.

● **უკრაინის** მე-3 ფრონტის ჯარებმა გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა ბენდერის სამხრეთით, სამი დღის შეტევითი ბრძოლების განმავლობაში წინ წაიწიეს 70-მდე კილომეტრით და გააფართოვეს გარღვევა 130 კილომეტრამდე ფრონტით, ამასთან გაათავისუფლეს 150-ზე მეტი დასახლებული პუნქტი.

● **სსრ** კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით I ხარისხის ბოგდან ხმელნიცკის ორდენით დაჯილდოვდა ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ვარდენის ძე ნანეიშვილი.

● **ბალტიისპირეთის** მე-3 ფრონტის ჯარებმა იერიშით დაიკავეს ესტონეთის ქალაქი და კომუნიკაციების დიდი კვანძი ტარტუ.

● **უკრაინის** მე-2 და მე-3 ფრონტების ჯარების შეტევითი ბრძოლების შედეგად მოწინააღმდეგის ზარალი შეადგენს: ტყვეთა და მოკლულთა სახით—205.400 კაცს, 200 თვითმფრინავს, 664 ტანკსა და თვითმავალ ქვემეხს, 3.333 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხს, 2.330 ნაღმსატყორცნს, 13.596 ტყვიამფრქვევს.

● **ჰელსინკში** ოფიციალურად გამოცხადდა, რომ 17 აგვისტოს უმაღლესი სარდლობის ჰიტლერული შტაბის უფროსი, ფელდმარშალი კეიტელი ფინეთს ჩავიდა და მანერჰაიმს შეხვდა.

● **უკრაინის** მე-3 ფრონტის (სარდალი — არმიის გენერალი ტოლბუხინი) ჯარებმა განავითარეს შეტევა და 26 აგვისტოს იერიშით ...

საინტერესო ამბების სამყაროში

გულის მომაჯადოებელი სიამოვნება...

ოცდაათიანი ეტიუდი, რომლებშიც ქართველი პოეტი ვახტანგ ორბელიანი უძლერის პეტერგოფის შადრევნების სილამაზეს, პირველად ითარგმნა რუსულ ენაზე. თარგმანი ქართულიდან შეასრულა ლენინგრადელმა ალმოსავლეთმცოდნემ რუსუდან ორბელმა. მეცნიერი თანამედროვე მკითხველს დაეხმარა გასცნობოდა ორასი წლის წინათ დაწერილ ლიტერატურულ ძეგლს.

— 1738 წელს, პეტერბურგში ყოფნისას ვახტანგ ორბელიანი ეწვია შადრევნების დედაქალაქს — პეტერგოფს, — გვიყვება რუსუდან ორბელი. იგი აღტაცებული დარჩა მათი მშვენიერებით და, სამშობლოში რომ დაბრუნდა, ხელი მოჰკიდა კალამს. განსაკუთრებით ძვირფასია პოეტის მიერ შადრევნის მოწყობილობის აღწერა, რომელსაც XVIII საუკუნის დამდეგს კლოკშპილს უწოდებდნენ.

გასული საუკუნის შუა წლებიდან აღარ არსებობს კლოკშპილი, რომელიც უზარმაზარ შთაბეჭდილებას ახდენდა წყლისა და მზის ჰარმონიული „თამაშით". პეტერგოფის ისტორიკოსებისათვის ცნობილია ეს საოცარი შადრევანი, მაგრამ ვ. ორბელიანის მოგონებები მას ახალ ფერებს მატებენ, ეს სტრიქონები ხომ ნაცნობი პოეტის ხელითაა დაწერილი. საინტერესოდ აღწერა მან პეტერგოფის უძველესი შადრევანი — „ფავორიტკა".

საინტერესოა ისეთი ცნობილი შადრევნის ისტორია, როგორიცაა „დუბოკი". თურმე, მისი „საცხოვრებელი ადგილი" შეცვლილა. პოეტს იგი ზედა პარკში უნახავს. ახლა კი, როგორც ცნობილია, სამამულო ომის შემდეგ რესტავრატორების მიერ აღორძინებული ლითონის ტოტებით დამშვენებული შადრევანი და ბაღის ორი დივანი მდებარეობს ქვედა პარკში და ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული შადრევანია. იგი არა მარტო „გადასახლდა" ერთი პარკიდან მეორეში, არამედ არსებითად იცვალა სახე.

სტუმრის განსაკუთრებული ინტერესი გამოუწვევია ამწვე ხელსაწყოს პარკის ერთ-ერთ პავილიონში, გაუოცებია მონპლეზირისა და მისი მინაშენების სილამაზესა და მორთულობას. მონპლეზირი ფრანგულად ნიშნავს „ჩემი სიამოვნება". ვ. ორბელიანის თქმით, ეს, მართლაც რომ, გულისა და გონების სიამოვნებაა...

პოეტის მცირერიცხოვანი ხელნაწერები ახლა ლენინგრადის მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში და საქართველოს არქივებში ინახება.

— ვახტანგ ორბელიანი, — თქვა დასასრულ რ. ორბელმა, — ფართოდ იყო ცნობილი საქართველოში როგორც პოეტი, იგი ოსტატურად ფლობდა სიტყვას და ვირტუოზულობით იყენებდა პოეტურ ფორმას. პეტერგოფის აღწერა ერთდროული პროზაული თხზულებაა. ნაწარმოებში აღწერილი ფაქტების სიზუსტე მას დოკუმენტის მნიშვნელობას ანიჭებს.

დაატკბობთ ჩვენი ცეკვა და სიმღერა

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მსახიობები კორეელი კომპოზიტორის კიმ ენ გიუს „ახალი გაზაფხულის სიმღერას" მღერიან ამ მორმე ქვეყნის მსმენელებს. ნაწარმოები შეტანილია ამ კოლექტივის საგასტროლო რეპერტუარში. 15 სექტემბერს იგი საგასტროლოდ მიემგზავრება კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

17 დღის მანძილზე ქართველი მომღერლები და მოცეკვავეები გამოვლენ რამდენიმე ქალაქში, კორეელებს გააცნობენ ხალხურ ვოკალურ და ქორეოგრაფიულ ხელოვნებას.

საშემსრულებლო ოსტატობას საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლისა, რომელიც მომავალ წელს ასი წლის იუბილეს აღნიშნავს, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში გასტროლების შემდეგ გაეცნობიან საბჭოთა კავშირის ზოგიერთი ქალაქის მცხოვრებლებიც. შემდეგ კი ანსამბლი მონაწილეობას მიიღებს ტრადიციულ ფესტივალში „ბელორუსიის მუსიკალური შემოდგომა".

(საქინფორმი).

სკოლას დაბრუნებულები შერუნდებიან!

წელს სხვადასხვა ტიპის 1284 პიონერულ ბანაკში ჩვენი რესპუბლიკის 200 ათასზე მეტმა ბავშვმა დაისვენა.

პიონერთა რაზმების მთელი საქმიანობა წლევანდელ ზაფხულში მოეწყო ნორჩ ლენინელთა საკავშირო მარშის — „ლენინის სახელი თითოეული ჩვენგანის გულშია!", „საქმით დავამტკიცებთ პარტიის ერთგულებას!" — პროგრამის შესაბამისად.

მოეწყო კომკავშირისა და პიონერული ორგანიზაციებისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მიკუთვნების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი პიონერული შეკრებები.

ცხვარიჭამიის ბავშვთა ქალაქ „ცისკარში", სადაც ერთდროულად 15 ათასი პიონერი და მოსწავლე ისვენებდა, სტუმრად იყვნენ მეცნიერები, მწერლები, კომპოზიტორები და მხატვრები.

მიტინგებზე, მანიფესტაციებზე, შეკრებებზე პიონერებმა და მოსწავლეებმა განაცხადეს, რომ მზად არიან მშობლებთან და უფროს და-ძმებთან ერთად იბრძოლონ მტკიცე მშვიდობისათვის. ამ ბრძოლაში რეალური წვლილია პიონერ-მოსწავლეთა მიერ გამომუშავებული სახსრების გადარიცხვა მშვიდობის ფონდში, ომის საწინააღმდეგო მოწოდებებზე ხელმოწერების შეგროვება.

სურამის პიონერთა ბანაკმა „მზიურმა" სტუმრად მიიწვია ომის ვეტერანები.

საინტერესო შეხვედრები მოაწყვეს თბილისის, ბათუმის, ქუთაისისა და გორის საქალაქო პიონერთა ბანაკებმა. თავიანთ შეკრებაზე მათ მიიწვიეს პარტიზანული მოძრაობის მონაწილენი.

ცხოვრება ჩქეფდა ნორჩი ლიტერატორების, ქიმიკოსების, ბიოლოგების, ფიზიკოსების, მათემატიკოსების, მექანიკოსების, ნატურალისტების, მხატვრების, მოცეკვავეების, მომღერლების პროფილიან პიონერთა ბანაკებში.

თერჯოლის რაიონის პიონერთა ბანაკ „სამოვნელაში" მუშაობდა „მცირე აკადემია". აქ სექციების მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერები.

ბავშვები დაეხმარნენ ახლომდებარე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მოსავლის აღებაში, საკვების დამზადებაში, სამკურნალწამლო ბალახების შეგროვებაში.

ყველა პიონერთა ბანაკში იმართებოდა კონკურსები, სალამოები, მხატვრული თვითმოქმედების ფესტივალები და ოლიმპიადები.

თითქმის ყველა პიონერი ჩაბმული იყო ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში, რომელიც მიმდინარეობდა დევიზით „მომავალი ოლიმპიელები ჩვენს შორის არიან!".

იწურება აგვისტო, ზაფხული არდადეგებთან დამშვიდობების ჟამი დგება. რამდენ ქვიშა ზაფხულის ... რამდენ ტკბილ მოგონებას უტოვებს იგი ჩვენს უმაწვილებს! სიხარულით გაიხსენებენ ისინი სოხუმში ზღვაზე გატარებულ ზაფხულის დღეებს.

მ. კვირიკაშვილის ფოტო.

მგზავრობა, ერთი თვალის გადავლებით

ახალი ათონის თვალწარმტაცი ბუნებით მოხიბლული ანტონ ჩეხოვი თავის მეგობარს სწერდა, მე რომ აფხაზეთში მეცხოვრა ერთი თვე მაინც, ვფიქრობ დავწერდი მომხიბლავ ზღაპრებს. ...

ახლა სხვა სურათს გაგაცნობთ, პარკის ცენტრალურ შესასვლელთან, მარადმწვანე მცენარეთა ჩრდილქვეშ ცისტერნა მიუგორებიათ და ლუდით არხეინად ვაჭრობენ. ცხადია, აქ იღვრება ლუ...

ახალი ათონის კონტრასტები

შემთხვევები

დანაშაულზე წაასწრეს

ყუბანი

„მეგობრობა — 84"

ამ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებათა აგვისტოს პროგრამა მიიწურა. ასპარეზობა დაბოლოვებული დარჩათ მხოლოდ კალათბურთელებს. ქალთა გუნდების შეჯიბრების მეორე ტურში სსრ კავშირის ნაკრებმა მეორე გამარჯვება მოიპოვა (ამჯერად ჩეხოსლოვაკიელებთან — 84:72) და გათამაშების ცხრილში პირველ ადგილზეა. ვაჟთა გუნდები ქვეჯგუფებში ასპარეზობენ. საბჭოთა ნაკრებმა თავის ქვეჯგუფში ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა (ბულგარელებთან — 136:82) და ნახევარფინალში მონაწილეობის უფლებას ვადაზე ადრე დიმსახურა.

მოსკოვში დასრულებულ მოცურავეთა შეჯიბრების ბოლო დღეს მედლების ხუთი კომპლექტი გათამაშდა. ევროპის რეკორდი დაამყარა სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა (ვ. შემეტოვი, დ. ვოლკოვი, ა. მარკოვსკი და ს. სმირიაგინი) 4X100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში — 3.42,15. 200 მეტრზე ბულალმა ცურვაში უძლიერესი იყო კ. ციმერმანი (გდრ) — 2.12,56, ...

... ვარჯიშებში მოსტეპანოვამ 3 ოქროს მედალი მოიპოვა ..., ... ლენინგრადელმა ... ლავრინენკომ ... ვაჟთა შორის ცალკეულ იარაღებზე პირველი ადგილები მოიპოვეს დ. ბილოზერჩევმა (სსრ კავშირი; ლერზე, ტაიჭზე და რგოლებზე ვარჯიშებში), არტემოვმა (ორძელზე ვარჯიშში), ს. კროლმა (გდრ, ბჯენით ხტომებში) და რ. ბრიუკნერმა (გდრ, თავისუფალ ვარჯიშში). სულ საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს ოლიმპიაში 14 ოქროს მედალი დაეუფლნენ.

ქალაქ პლზენში (ჩეხოსლოვაკია), რომელიც მშვილდოსნებს მასპინძლობდა, შეჯიბრება საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობით წარიმართა. ქალთა შორის სამივე საპრიზო ადგილი ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიპოვეს: ნ.-ც. გომბოევამ — 2605 ქულა, ზ. რუსტამოვამ — 2595 და ლ. არუნიკოვამ — 2589 ქულა. ვაჟთა შორის უძლიერესი იყო მ.-ბ. ...

სატურნირო ორბიტა

მოსკოვი

ჩვენს ტელეეკრანებზე

თბილისი

რედაქტორის მოადგილე
ვ. ნაზღაიძე

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 09995 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, გაზეთის რედაქცია, საბჭოთა კავშირი, ხიდაიძის 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20